ცნობის ფურცელი

№ 1804 პარასკევი, 10 მაისი 1896—1902 ყოველ-დღიური გამოცემა № 1804

გაზეთის ფასი: წელიწადში—6 მან., თვეში—75 კაპ., ცალკე ნომერი—3 კაპ., ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი „პეტიტით“ პირველ გვერდზე—10 კ., მეოთხეზე—5 კაპ.

ხელის-მოწერა და დასაბეჭდი განცხადებანი მიიღება: „მოამბე“-„ცნობის ფურც.“ რედაქციის კონტორაში ვანქის დიდ ქუჩაზე, № 27 და წ. გამ. ქართველთა ამხანაგობის კიოსკში (ქვაშვეთის ეკკლესიის პერდაპირ).

ხელ-მოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება.—დასაბეჭდი წერილები რედაქციის სახელობაზე უნდა გამოიგზავნოს.—პირდაპირ მოლაპარაკება რედაქციასთან შეიძლება ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა, შუადღის 11—1-ლ საათამდე.

ფოსტის ადრესი: Тифлисъ, въ редакцію „Цнобисъ-Пурцели“-„Моамбе“. ტელეფონი № 372

წიგნების გამომცემელ ქართველთა ამხანაგობის კონტორა

უმორჩილესადა სთხოვს ამხანაგობის წევრთ, გამოუგზავნონ კონტორას თავიანთი ადრესები მდგომარე მაისის ოც-და-შვიდამდე.

ტფილისის კერძო სამკურნალო

მიხეილ გედევანიშვილისა.

ავადმყოფებს იღებენ ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა

დილით:

კ. ი. ჭიჭინაძე—კბილის სნეულებანი 8—10 საათამდე.

მ. ა. გედევანიშვილი—ნერვებისა 9—10 საათამდე, ხუთშაბათს და შაბათს გარდა.

ე. ზ. ფედოროვი—შინაგანი და საბავშო 9—10 საათამდე.

გ. გ. მალალაშვილი—შინაგანი 10—11 საათამდე, სამშაბათობით და ხუთშაბათობით.

ვ. დ. ლამბაშიძე—შინაგანი 10—11 საათამდე. სამშაბათობით და ხუთშაბათობით 1—2 საათ.

ი. პ. ახალშენიშვილი—კბილის სნეულებანი 10—12 საათამდე.

ნ. ტ. ბულინი—ყურისა, ყელისა და ცხვირისა 10—11 საათამდე.

კ. მ. ელიოზიშვილი—შინაგანი და ბავშვებისა 11—12 საათამდე.

ა. გ. ბარსუკოვი—დედათა სნეულებანი, ორშაბათობით, ოთხშაბათობით და პარასკეობით 12—1 საათამდე.

დ. ა. გედევანიშვილი—შინაგანი, ნერვებისა და წამლობა ელექტრონით 12—1 საათ.

ბ. მ. ამბარდანოვი—სიფილისისა, კანისა და საშარდესი 1—2 საათამდე.

სტ. ალ. ვოინო—ქირურგია ორშაბათობით, ოთხშაბათობით და შაბათობით. 1—2 საათამდე.

საღამოთი:

ი. ნ. თუმანიშვილი—დედათა სნეულებანი 5—6 საათამდე.

ა. გ. მალალაშვილი—შინაგანი ბავშვებისა და ყვავილის აცრა 5—6 საათამდე. (მიკრო-ქიმიური და ბაქტერიოლოგიური გამოკვლ.)

გ. მალალაშვილი—კვირაობით, 10—12 საათამდე.

სამკურნალოს აქვს საწოლი ოთახები.

ფასი რჩევისა და დარიგებისა 50 კაპ.; ოპერაციები და კრაოტები—მორიგებით.

ადრესი: კუკია, ნიკოლოზის ქუჩა, სახლი სვგინამვილისა, № 21. (ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ.- ტელეფონი № 274. (წლ.))

ექიმი

ალექსანდრე გიორგის ძე

მალალაშვილი

იღებს ყოველ-დღე შინაგანისა და საბავშო სნეულებით ავადმყოფებს დილით 12—2 საათამდე და საღამოთი 4—5-მდე-ე მიიღებს აგრეთვე საქმეს: ქიმიურ, მიკროსკოპიულ და ბაქტერიოლოგიურ გამოკვლევათა. ოქრო-მჭედლების ქუჩა, № 40, თულაევის სახლი.

ექიმი

ვახტანგ ლამბაშიძე

შინაგანის და საბავშო სნეულებით ავადმყოფებს იღებს დილის 9—10-მდე და საღამოს 5—6 საათამდე. რეუტის ქუჩა № 24. ტელეფონი № 642.

ბებია

ვ. მ. ლიმონი

ცხოვრობს სუდებნის ქუჩაზე, სახლი მირზოევისა, № 34, სადგომი თ. ანდრონიკაშვილისა, საოლქო სასამართლოს რიგზე. (1—2)

მთავრობის განცხადება

„პრავიტ. ვესტნიკ“-ში დაბეჭდილია: „26 წარსულს აპრილს პეტერბურგის სამხედრო საოლქო სასამართლომ განიხილა საქმე სტეფანე ვალერიანის ძის ბალმაშოვისა, რომელიც იქმნა მიცემული სამართალში შინაგან საქმეთა მინისტრის ეგერმეისტერის სიპიაგინის წინდაწინ განზრახულ მოკვლისათვის, და გადაუწყვიტა დამნაშავეს სასჯელთა სამხედრო დებულების XXII წიგ. 279 მუხ. ძალით დასჯა ჩამოხრჩობით. დამნაშავეს საკასაციო საჩივარი 29 აპრილს განიხილა უმთავრესმა სამხედრო სასამართლომ და უყურადღებოდ დასტოვა.

3 მაისს სასამართლოს დადგენილება სისრულეში იქმნა მოყვანილი, თანახმად „სისხლის სამართლის სამოსამართლო წესდების“ 963 და 964 მუხლებისა“.

დიდებული მოსაზრება

გუშინწინდელ ნომერში „ივერიამ“ განმარტა ის, რაც ჩვენთვის დღემდე გაუგებარი იყო. ეხლა ვიცით და გვესმის, რა მოხდა სტუდენტთა დამხმარებელ საზოგადოების კრებაზედ. გავიგეთ, რომ ერთი ნაწილი ამომრჩევლებისა ისე მოქმედებდა თურმე, თავისთავს ანგარიშს არ აძლევდა. ხოლო, მეორეს მხრივ, იმავე დროს, იგივე ნაწილი ამომრჩევლებისა უმაღლესს მოსაზრებით ხელმძღვანელობდა.

თუ მკითხველი გაკვირდება და იკითხავს, რა ნაირად შეიძლება, რომ ერთსა და იმავე დროს ადამიანი უგუნურიც იყოს და გონიერიც, ამის პასუხს „ივერია“ მისცემს და იმის ცნობის მოყვარეობას სრულიად დააკმაყოფილებს.

„სტუდენტთა დამხმარებელ კრებას, მოგვითხრობს „ივერია“, დაესწრნენ სხვა-დასხვა ტომის წარმომადგენელნი, მათ შორის დაახლოვებით ერთი მესამედი კრებისა რუსები ყოფილა, ერთი მესამედი—ქართველები და ერთიც—სომხები. რადგან ტფილისის არჩევანებში რუსები და ქართველები, თავიანთ უზრუნველობით, თითქმის გამორჩეულნი არიან, რუსებმა და ქართველებმა უნებლიედ მისცეს მხარი და ამ გვარად ორმა ნაწილმა ერთ ნაწილს აჯობაო“.

ამ რიგად კრებაზედ რუს-ქართველობის კავშირი მომხდარა. ამ კავშირის აზრი სომხების დამარცხება ყოფილა. რითი იყო გამოწვეული ბრძოლის აუცილებლობა, „ივერია“ ამასაც გვეუბნება: რუს-ქართველობა თავიანთ უზრუნველობის გამო სომხების მიერ ძლიერ დაჩაგრული იყო და ამიტომ სომხების დამარცხებამათვის აუცილებელი იყოო.

„არჩევნებში ყოველთვის სხვა დროს დამარცხებულმა რუს—ქართველობამ ერთად—ერთხელ გაიმარჯვა და თვითონვე გაუკვირდა. გაუკვირდა, მაგრამ კი არ გაუხარდა, იმიტომ, რომ სომხების გაშავების განზრახვა არავის არა ჰქონდა, არც რუსსა და არც ქართველსაო“.

საკვირველია, რუსები და ქართველები შეერთებულან. სომხების დამარცხება სწადდათ. და როცა გაიმარჯვეს, თავიანთი გამარჯვება გაუკვირდათ და ეწყინათ. რად გაუკვირდათ და რად შეწუხდნენ რუს—ქართველები? იმიტომ, რომ „სომხების გაშავების განზრახვა არავის არა ჰქონდაო“, გვეუბნება „ივერია“. თუ ამგვარი განზრახვა არავის არა ჰქონდა, მაშ რისთვის შეერთდნენ რუს-ქართველები, ერთმანეთს მხარი რისთვის მისცეს? ხოლო თუ სომხების დამარცხება განზრახული ჰქონდათ, რად გაუკვირდათ და ეწყინათ თავიანთი გამარჯვება? „მოკავშირენი“ ხომ ამომრჩეველთ რიცხვის უმრავლესობას შეადგენდნენ? თუ სომხების დამარცხება ეწყინათ, მათ წინააღმდეგ „კოალიცია“ არ უნდა გაემართათ. თავს თუ იმითი გაიმართლებენ, რომ რუს-ქართველების დაახლოვება „უნებლიეთი“ დაახლოვება იყო, ამ საბუთით მხოლოდ იმას გამოააშკარავებენ, რომ ამომრჩეველთა ერთი ნაწილი თავის თავს არავითარ ანგარიშს არ აძლევდა და ინსტინქტიურად მოქმედებდა. ამგვარი უაზრო და უმიზნო მოქმედება უფრო გასამტყუნარი იქნებოდა, ვიდრე განზრახული და წინ-და-წინვე გამოანგარიშებული სომხების წინააღმდეგ მოქმედება.

მაგრამ საქმე ასე არ არის. სომხების დამარცხება არამც თუ „უნებლიეთ“-ი არ ყოფილა, პირ-იქით, უმაღლესს მოსაზრებით ყოფილა გამოწვეული. საქმის საიდუმლოება ისევ „ივერიამ“ გამოამჟღავნა. თურმე რუს-ქართველობის „უნებლიეთ“ დაკავშირებას ღრმა აზრი ჰქონია და სტუდენტთა დამხმარებელ საზოგადოების გამგეობიდან სომხების განდევნა—მაღალი პატრიოტული მისია ყოფილა. „თქვე დალოცვილებო,-გაიძახის „ივერია“, ერთმა (ქართველები) ქალაქიააშენა, მის დაცვაში სისხლი დანთხია, მეორემ (რუსები) სისხლ დანთხეულს მიეშველა; ამ დროს საიდღამაც გამოტყვრა მესამე (სომხები), ორივეს წიხლი ჰკრა და ქალაქის მებატონეთ გამოიჭიმა. განა ეს ამბავი მოსაშორებელი ჭირი არ არის? მაშ ამ ჭირს „რაღათა ჰმალავთ? ან ვის უმალავთო“? აი სად ყოფილა ძაღლის თავი დამარხული. თურმე განსაცდელში ყოფილან ისინი, ვისაც ქალაქის დაცვაში სისხლი დაუნთხევიათ და ვინც სისხლ დანთხეულებს მიჰშველებია. მაშ თუ ასეა, რაღად გაუკვირდათ და ეწყინათ „ერთგულ მოკავშირეთ“?

ფელეტონი

ჩვენებური საქმიანობა

(ტფილისის სათავად-აზნაურო სკოლის კომიტეტის მოქმედების გამო)

სრული ოცდა-სამი წელიწადია ტფილისის სათავად-აზნაურო სკოლის კომიტეტი არსებობს. ოცდა-სამის წლის გამოცდილება ჰკუის დიდი მასწავლებელია ყოველ დაკვირვებულ კაცისათვის და ამიტომ განზრახვა გვქონდა გადაგვეთვალიერებია ხსენებულ საზოგადოების მოქმედების ანგარიში ამ ხნის განმავლობაში, მაგრამ დაბეჭდილი ანგარიშები ვერ ვიშოვეთ. ჩვენ ხელთ გვაქვს ეხლა მხოლოდ კომიტეტის შვიდის წლის მოქმედების ანგარიში, მაგრამ მაინც ვფიქრობთ, რომ ეს შვიდი წლის ანგარიშიც გვეტყვის რასმე საყურადღებოს იმის შესახებ, თუ რამდენად შევისწავლეთ საზოგადო საქმეების გაძღოლა, რამდენად საქმიანია ჩვენი საზოგადო მოღვაწეობა.

1895 წლამდე, ე. ი. სრული 16 წელიწადი, ტფილისის სათავად-აზნაურო სკოლის კომიტეტის მოქმედება, როგორც სჩანს, მხოლოდ იმაში გამოიხატებოდა, რომ ბანკის ბოძებულ ფულს ხარჯავდა სკოლაზე. კომიტეტს არ უზრუნვია არც საკუთარ ქონების შეძენაზე იმ შემთხვევისათვის, თუ ბანკი მოუსპობდა სკოლას შემწეობას, არც სკოლის საკუთარ შენობის აგებისათვის, თუმცა ერთიცა და მეორეც უპირველესი მოვალეობა უნდა ყოფილიყო კომიტეტისა.

1895 წლიდან კი კომიტეტი „შექმნილა მეპატრონე საქალაქო და სასოფლო მამულებისა, რომელზედაც ამყარებდა იგი მცირეოდენ იმედს მომავალში დახმარებისათვის“, როგორც ეს ნათქვამია ცოტა უხერხულის ქართულით 1895 წლის ანგარიშის მოხსენებაში.

ამავე წელს საზოგადო კრებამ დაადგინა „ხელშეუხებელ თანხის“ დაარსება იმ შემთხვევისათვის, თუ ბანკი აღარ გასცემს ფულს სკოლის შესანახად; ყოველ წელს ხარჯთაღრიცხვაში უნდა ყოფილიყო შეტანილი გრაფა „საზოგადოების თანხისათვის“; რაოდენობა კრედიტისა კი ბანკის გამგეობას უნდა გადაეწყვიტა.

ხელუხლებელი თანხა პირველად და უკანასკნელად არის ნახსენები კომიტეტის ანგარიშებში. არც კომიტეტის მოხსენებაში არც საზოგადო კრების ოქმში ლაპარაკი ამ საგანზე აღარ არის დღემდე.

მამული სკრა შეუძენია კომიტეტს 1895 წელს. გარდა შემოსავალისა, მიზანი ამ მამულის შეძენისა ისიც იყო (ან შეიძლება შემდეგში გამოჩნდა ეს მიზანი, რადგან ოქმებიდან არ სჩანს), რომ აქ სამეურნეო სკოლა დაეარსებინათ. მამული ბანკიდან შეიძინეს და ამიტომ სხვა ხარჯებთან ერთად ბანკის სარგებლის გადახდაც იყო საჭირო. ასეთ პირობებში მოსალოდნელი იყო, რომ სკრა დიდ სარგებლობას ვერ მისცემდა კომიტეტს. მაგრამ ის კი არ იყო მოსალოდნელი, რომ ეს მამული აქამდე მეტად საზარალო შეიქმნებოდა საზოგადოებისათვის, მით უმეტეს, რომ ბანკმა იმ თავითვე 30 ათასზე მეტი მისცა (1895 წ.—2208,25, 1897—5000, 1898—23,000) კომიტეტს ვალის გასასტუმრებლად.

გამოვიანგარიშოთ, თუ რა ზარალი მიაყენა სკრამ ჩვენს საზოგადოებას.

1895	წელს—	1152, 45
1896	„ —	1244, 93
1897	„ —	4212, 43
1898	„ —	5110, 33
1899	„ —	1447, 11
1900	„ —	1700, 17
1901	„ —	2637, 94

სულ ზარალი ამ შვიდის წლისა უდრის 17.505 მანეთსა და 36 კაპეიკს. გასაკვირველი ის არის, რომ, ჩვენ მამულს რომ ბანკის ვალიც არ ჰქონოდა, მაინც იგი საზარალო იქნებოდა ჩვენთვის:

ხარჯი ბანკის სარგებლის გამოკლებით.		შემოსავალი
1895	—1569 —	410 —
1896	—2608, 67	1363, 74
1897	—2016, 98	2723 —
1898	—2446, 53	3058, 16
1899	—1198 —	1952, 63
1900	—2984, 99	2968, 55
1901	—3696, 70	2835, 11
	16,520, 87	15,311, 19

თვით მამული კი ყველას შემოწმებით ყოვლად სახეირო უნდა იყოს: შენახული ტყე, სარწყავი ადგილები, გაშენებული ბაღი, წისქვილი, რკინის გზის სადგურთან მდებარეობა; ერთის სიტყვით უკეთეს პირობების წარმოდგენა ძნელიც არის მამულისათვის.

მაშ რაღაა ზარალის მიზეზი?

დავუკვირდეთ ანგარიშს: 1895 წელს ტყის შემოსავალი ყოფილა 76 მ. და 95 კ. გასავალი—120; 1896 წ. ვენახის შემოსავალი 329 მ. 60 კ., გასავალი—468 მან. 85 კ., ბოსტნის შემოსავალი—487,07, გასავალი—545, 63, თივის შემოსავალი—32, გასავალი—62, 13, ტყის შემოსავალი—122, 15, გასავალი—136, 50. სამწუხაროდ, სხვა წლების შემოსავალ-გასავალი 1901 წლამდე ასე დაწვრილებით არ არის აღნუსხული და ამიტომ ვერც მამულის მოვლის ნამდვილ სურათს წარმოვიდგენთ. 1900 წელს*) ვენახზე დაუხარჯავთ 273, 99 და წისქვილზე—449, 90. შემოსავალი ვენახს არ უნდა ჰქონებოდა ამ წელს, მაგრამ წისქვილს? 1901 წელს კიდევ დაუხარჯავთ ვენახზე 358, 52, შემოსავალი კი 353, 80 იყო; წისქვილის შემოსავალი ამ წელს ყოფილა 50 მან., გასავალი კი ნაჩვენები არ არის: მეწისქვილეს ხომ მაინც უნდა ჯამაგირი, რომელიც ნაჩვენებ შემოსავალზე ნაკლები მაინც ვერ იქნება.

მოურავებზე კი კარგა ბლომად იხარჯება ფული: ორთა შუა რიცხვით სკრის მამულის შტატი ჯდება არა ნაკლებ 1200 მანეთისა; ყველაზე მეტი ხარჯი შტატზე 1901 წელს ეკუთვნის.

---

*) აღსანიშნავია ერთი გარემოება: ამ წელს ტყიდან შემოსულა 600 მანეთი. ასეთ არა ჩვეულებრივ შემოსავალს კავშირი ხომ ჰრა აქვს იმ ხმასთან, ვითომ ტყე უნდა გაჩეხილიყოს?

რატომ არ უნდა ჰქონოდათ მათ სომხების გაშავების განზრახვა პირ-იქით, ამგვარი გაშავება მათ პატრიოტულ მოვალეობად ჩაეთვლებოდათ. რუსებს და ქართველებს კი, „ივერიის" განმარტებით, ეწყინათ სომხების დამარცხება. ერთი მიბძანეთ, რად უნდა მეწყინოს იმ ადამიანის მარცხი, რომელმაც მეც მტანჯა და არც იმისათვის სიკეთე დაუყრია, ვინც მე გამაბედნიერა, ყელამდე ოქროთი ამავსო, მიხსნა და დამიფარა? ალბად, ამომრჩევლები ღვთაებრივ შთაგონებით მოქმედებდნენ და ამითი აიხსნება, რომ მათ უნებლიედ და უანგარიშო საქციელს პროვიდენციული აზრი და შინაარსი მიეცა.

ჩვენ ვსთქვით და ვამბობთ, რომ სომხებს ისეთივე უფლება ჰქონდათ, „დამხმარებელ გამგეობაში" შესვლისა, რა უფლებაც სხვა ერების წარმომადგენლებს ჰქიანდათ. ამას თავდაპირველად სიმართლე მოითხოვდა, მერე ის, რომ სომხების ხელში სიმდიდრეა. საქველმოქმედო დაწესებულება ბურჟუაზიული დაწესებულებაა. თუ რასმეს მოელით ამგვარ დაწესებულებიდან, ბურჟუაზიის განდევნა ამ დაწესებულებიდან უგუნურებაა.

როდესაც ჩვენ ქალაქიდან გვდევნიან და ყოველ უფლებას გვართმევენ, ვიწყებთ ხოლმე მაღალ პრინციპებზე და უსამართლობაზე ღაღადს. ხოლო ეს პრინციპები და სამართალი გვავიწყდება ხოლმე, როდესაც ჩვენს თავს უზრუნველ ყოფილად და მაგრად ვგრძნობთ, როდესაც ვიცით, რომ ჩვენს უკან შეიარაღებული დარაჯია. მაშინ შურის-ძიებით გავიმსჭვალებით ხოლმე და გულში ვიკლავთ ყოველივე სამართალს და ადამიანობას. არა, არ გვინდა ჩვენ ამგვარი მამულიშვილობა, არც „ივერიას" ვულოცავთ პატრიოტულ მძულვარების გზაზე დადგომას.

არჩილ ჯორჯაძე.

საზღვარ-გარედ

სამთა კავშირი და იტალია. გაზეთ „ტან"-ის კორესპონდენტი იწერება რომიდან: „ძალიან საინტერესოა იმის თვალ-ყურისგდება, თუ როგორის ენით ლაპარაკობენ ოფიციალური გაზეთები სამთა-კავშირის განახლებაზე: ძნელია კაცმა წარმოიდგინოს ასეთი გაუგებარი და გაურკვეველი ენა; იგი კარგად ჰხატავს ეხლანდელ მთავრობის სულის მდგომარეობას. ეჭვს გარეშეა, რომ გერმანია და ავსტრია ძალას ატანენ იტალიას დარჩეს კავშირის წევრად პირობების შეუცვლელად; გერმანია იმიტომ, რომ ეს კავშირი მისი შექმნილია და მას არ ჰსურს თავის უფლებების შემცირება. რაც შეეხება ავსტრიას, სამთა-კავშირი მისთვის მნიშვნელოვანია იმ შემთხვევისათვის, თუ ბალკანეთზე საქმეთა მიმდინარეობა გართულდება. დამოუკიდებელი პოლიტიკური წრეები ჰფიქრობენ, რომ გოლუხოვსკიმ იმიტომ გადააჭარბა, როცა გამოაცხადა, რომ კავშირი სრულებით უცვლელად, ძველის თავის მნიშვნელობით, იქნება განახლებულიო, რომ ჰსურდა იტალიის ჩათრევა. ნამდვილად კი, თუ სამივე სახელმწიფო პრინციპით თანახმა არიან კავშირის განახლების შესახებ, ჯერ არც არაფერი დაწერილა და არც ხელი მოუწერიათ. იტალიას ჰსურს კავშირის განახლება, მაგრამ ამასთანავე არ უნდა გამოიწვიოს საფრანგეთის უკმაყოფილება, რადგან მისი მეგობრობა იტალიისათვის ძალიან სასარგებლოა. იტალიის სურვილია შეათანხმოს სამთა-კავშირში მონაწილეობა იმ დამოკიდებულებასთან, რომელიც მას საფრანგეთთან აქვს. ასეთ სურვილის განხორციელება შესაძლებელია, თუ მოკავშირენი მოინდომებენ კავშირის პირობების შემუშავებას."

იტალიის საზოგადოების აზრი ამ ბოლო დროს ვერ ურიგდება სამთა-კავშირს და მის პოლიტიკას. ქ. მილანში გაიმართა დიდი მიტინგი სამთა-კავშირის განახლების წინააღმდეგ პროტესტის გამოსაცხადებლად. გაზეთი „სეკოლო" დიდ მნიშვნელოვან ფაქტად სთვლის ამ მიტინგს და ამბობს, რომ მთავრობამ სახეში უნდა იქონიოს ეს გარემოებაო.

მილანიო, ამბობს გაზეთი, იტალიის ეროვნულ და გონებრივ ცხოვრების ერთი უმთავრესი ცენტრთაგანია და მილანელების ძლიერი უკმაყოფილება ადვილად შეიძლება გავრცელდეს იტალიის სხვა ქალაქებზედაც. უკვე მოსულ ცნობებიდან სჩანს, მილანის მიტინგის რეზოლიუციას ყველგან იტალიაში თანამგრძნობლები აღმოჩენია. მთავრობამ კარგად იცის, რომ ხალხს არ უყვარს უმიზნო და უნიადაგო დემონსტრაციები. იტალიის ერი იმდენად მტკიცეა და გაბედული, რომ ნებას არ მისცემს მთავრობას მის სურვილის და გუნების წინააღმდეგ იმოქმედოს. შეერთებული იტალიელები არასოდეს არ მისცემენ ნებას გერმანელებს, ტრიესტი და ტერენტი ჩაიგდონ ხელში, რაც უნდა სიკეთე არ დაჰპირდნენ იტალიის მთავრობას სამთა-კავშირში მონაწილეობისათვის. მიუხედავად ამისა, მიუხედავად ხალხის პროტესტისა, სამთა-კავშირი, როგორც სჩანს, განახლებული იქნება. მაგრამ გაამართლებს თუ არა იტალია მოკავშირეთა იმედებს, თუ ევროპაში რამე მოხდება, იტალიელების ეხლანდელ განწყობილების მიხედვით ეს კიდევ დიდი საკითხავია."

ასე დიდ მნიშვნელოვანია ეროვნული პრინციპი საერთაშორისო დამოკიდებულებისათვის.

საფრანგეთი. პრეზიდენტ ლუბეს საყურადღებო სიტყვა უთქვამს ბრესტში რუსეთში წამოსვლის წინ. სიტყვა ახასიათებს თვითონ ლუბეს დამოკიდებულებას ეხლანდელ სამინისტროსთან. „ბედნიერი ვარო, უთქვამს ლუბეს, რომ თან მახლავს მინისტრ-პრეზიდენტი, რომელმაც ჯერ კიდევ ოცის წლის წინათ გამოიჩინა თავი სამშობლოს წინაშე დამსახურებით, და ამ უკანასკნელ სამის წლის განმავლობაში ისეთის ბრწყინვალებით ასრულებდა საფრანგეთისა და რესპუბლიკის წარმომადგენლის მოვალეობას. ბედნიერი ვარ, რომ ჩემთან ვხედავ გარეშე საქმეთა მინისტრს, რომელიც ოთხის წლის განმავლობაში ხელმძღვანელობდა გარეშე პოლიტიკას და რომელმაც აამაღლა საფრანგეთის პრესტიჟი, და საზღვაო საქმეთა მინისტრს, რომლის მთელი ზრუნვა ზღვაზე ჩვენის ძლიერების განვითარებაა".

შემდეგ პრეზიდენტი შეეხო იმ გარემოებას, რომელიც ბრესტის მერმა აღნიშნა, სახელდობრ იმას, თუ როგორ თანდათან ურიგდებიან რესპუბლიკას ძველ წესის მოტრფიალე ფრანგები, რომელთა რიცხვი ბრესტის მხარეზე ბევრია. „თქვენ მითხარით, ბ. მერო, რომ ფინისტერის დეპარტამენტი სიფრთხილით, ნელა, მაგრამ შეუწყვეტლად მიიწევს რესპუბლიკისაკენ და გახდება მისი ისეთი ერთგული, როგორიც ბრეტონელს შეუძლიათ. მე მხედველობაში ვიღებ ამ განცხადებას ისეთ პირებისას, რომელთა სიტყვის შესახებ ეჭვის აღება შეუძლებელია. 14-ისა და 20 აპრილის არჩევნებმა დაამტკიცეს, რომ მარტო ფინისტერი არ მიიწევს რესპუბლიკისაკენ. საფრანგეთი ერთ-სული იყო თავის არჩევნებში და გამოჩენილ პირთა შორის, რომელთაც კი მიმართეს ამომრჩევლებს, არც ერთი არ აღმოჩნდა არც მეფობისა და არც იმპერიის მომხრე. ამიტომ მე მსურს დავიჯერო, რომ თქვენ მართლა რესპუბლიკელები ხართ, და არა მარტო სახელით და რომ წინააღმდეგი არ შეიქნებით თქვენივე საარჩევანო აფიშების და სიტყვებისა. თქვენ ძალიან კარგად შგრებით, რომ უერთდებით რესპუბლიკას, რომელმაც საფრანგეთს 30 წლის მშვიდობიანობა მიანიჭა. თვითონ საფრანგეთშიაც ცხადად სჩანს დამშვიდება. ბრძოლა შესწყდა, და დადგა დრო შინაგან მშვიდობიანობისა. რასაკვირველია, ჩვენ ხელთ იარაღი უნდა გვქონდეს იმათ წინააღმდეგ, ვინც იარაღს არ იყრის. ჩვენ უნდა დავიცვათ თავი იმ ღონისძიებათა საშუალებით, რომელთაც კანონი აძლევს ხელში კეთილ მოქალაქეთ. მაგრამ ყველას ჩვენ გვადევს მოვალეობა, ვიმუშაოთ საფრანგეთის მატერიალურ და მორალურ ინტერესების განვითარებისათვის. ამისათვის საჭიროა ერთობა და მე უბედნიერესი პრეზიდენტი ვიქნები, თუ ამ ერთობას სამსახურს გავუწევ პრეზიდენტობის ვადის გასვლამდე".

მარტინიკის კატასტროფა. ამერიკის შეერთებულ შტატების კონგრესმა ერთხმად უკამათოდ მიიღო პრეზიდენტ რუზველტის წინადადება მარტინიკზე მომხდარ უბედურების გადარჩენილ მსხვერპლთა დასახმარებლად 500 ათას დოლარის გადადების შესახებ. რუზველტისავე ინიციატივით ამერიკის ბევრ ქალაქში შესდგა კომიტეტები შემოწირულების მოსაგროვებლად. ბერლინის საბჭოს წევრებმა სთხოვეს მაგისტრატს დაუყოვნელივ გადასდოს 40 ათასი მარკა მარტინიკზე დაზარალებულთა სასარგებლოდ. პაპმა შესწირა ამ საქმეს 20 ათასი ფრანკი. დანიის მეფემ გაუგზავნა 4000 ფრ. პრინც ვალდემარიის მეუღლეს, რომელმაც მოწოდებით მიმართა საზოგადოებას — დავეხმაროთ გაუბედურებულ სენ-პიერელებსო. შვეციის მეფემ ოსკარმა გადასცა საფრანგეთის კონსულს 5000 ფრანკი.

14 მაისს (ახალი სტილი), როგორც იქმნა, შეიძლეს ძრიანად დანგრეულ სენ-პიერში და შეუდგნენ დაღუპულების გვამების ნანგრევებიდან გამოტანას; ჯერ გამოუტანიათ 2000 მკვდარი. რადგან გადამდებ სენის გაჩენის შიში აქვთ, გვამებს სწვავენ მაშინვე.

ახალი ამბავი

◆ როგორც ვიცით, ერთის წლის წინად კავკასიის ადმინისტრაციის განკარგულებით, მოხდენილ იქმნა **რევიზია ქუთაისის დეპუტატთა საკრებულოს საქმეებისა**; რევიზიამ აღნიშნა ზოგიერთი უწესოებანი საკრებულოში და ვრცელი მოხსენება წარუდგინა სათანადო მმართველობას; მოხსენების ძალით, საქმე სენატში უნდა გარჩეულიყო; ადმინისტრაციის მოხელის მოხსენებაზე ვრცელი პასუხი წარადგინა სენატში ქუთაისის გუბ. თავად-აზნაურთა ყოფილმა წინამძღოლმა თავ. ს. წერეთელმა. ახლა, როგორც პეტერბურგიდან გვწერენ, სენატს განუხილავს როგორც ადმინისტრაციის მოხელის მოხსენება, ისე პასუხი და გადაუწყვეტია, გამოძიება დაინიშნოს იმის შესახებ, თუ რამდენათ მართალია რევიზორის მოხსენებაში აღნიშნული ცნობები; საქმის გამოძიება სენატმა მიანდო ტფილისის პალატის ბრალმდებელს.

◆ როგორც გადმოგვცეს, ამ ჟამად, კავკასიის უმაღლეს ადმინისტრაციის განკარგულებით, ტფილისის სახაზინო თეატრის საქმეების **რევიზია** სწარმოებს.

◆ ჭიათურის შავი-ქვის მრეწველთა საბჭოს ორ წელიწადზე მეტია, რაც აღუძრავს **ორი საყურადღებო შუამდგომლობა**: მუშათა დამხმარებელ და დამზღვეველ კასსის დაარსების შესახებ და ჭიათურაში არსებულ საავათმყოფოს ოფიციალურად საბჭოს განკარგულებაში გადმოცემის შესახებ. ეს ორივე შუამდგომლობა დღემდის უმოძრაოდ იყო გაჩერებული სამთო დეპარტამენტში: პირველი შუამდგომლობის გარჩევას აჩერებდნენ მანამდი, სანამ მაგნაირივე კითხვა—ბაქოს მუშების სავალდებულო დაზღვევის საქმე არ გადაწყდებოდა სენატში. შავი-ქვის მრეწველთა საბჭოს წარმომადგენელმა პეტერბურგში იშუამდგომლა, რომ ორივე ეს კითხვები ერთ და იმავე დროს იქნეს გარჩეული სახელმწიფო საბჭოში და ეს შუამდგომლო-

---

რა გასაკვირველია, რომ ასეთ მეურნეობას ყოველთვის ზარალი მოჰყვეს და კარგი მამულიც ჩვენ ხელში მაზარალებელი შეიქმნეს.

1897 წლის ანგარიშიდან სჩანს, რომ კრების ზოგიერთ წევრს დაუნახავს სკრის მამულის ნამდვილი მდგომარეობა და წინადადება შემოუტანია, გაიყიდოს ან იჯარით გაიცეს მამული, რადგან მოვლას ვერ ვახერხებთო. ამაზე კომიტეტს ის უპასუხნია, რომ მამული შეძენილია სასწავლებლისათვის და „არა იმ აზრით, რომ იმისგან მიიღოს ბევრი შემოსავალი"-ო. ბევრ შემოსავალს ვინ ჩივის, დიდი ზარალი არ იყოს: 17.505 მანეთი დიდი ფულია ჩვენისთანა ღარიბებისათვის.

ბევრით უკეთეს მდგომარეობაში არც ქალაქის მამულია. ჯერ იყო და სახლის გადაკეთებაზე 45 ათასის მაგიერ ორჯელ მეტი დახარჯეს. რაც შეეხება შემოსავალს, გარდა 1901 წლისა სახლი ზარალს იძლეოდა, თუმცა კომიტეტის ხარჯთ-აღრიცხვებით მარტო პირველ წელს უნდა ყოფილიყო პატარა დეფიციტი. ექვსის წლის განმავლობაში მხოლოდ ერთხელ უკანასკნელ წელს დაიფარა დეფიციტი. დაწვრილებით ცხრილის მოყვანა მეტად მიგვაჩნია. ასეთია ჩვენის კომიტეტის მოქმედება საზოგადოების საშუალებათა გაძლიერების მხრივ.

ტფილისის სათავად-აზნაურო სკოლა არსებობს 23 წელიწადი და აქამდე საკუთარი შენობა ვერ შეუძენია. ამ ხნის განმავლობაში სკოლას გასვლია სახლის ქირაზე 112.446 მ. 22 კ. ცოტა ფული არ არის ეს თანხა, განსაკუთრებით ჩვენში. კომიტეტი გვიან მიხვდა საკუთარ შენობის აგების საჭიროებას და სარგებლობას. მაგრამ ამ გვიან მიხვედრის შემდეგაც ვერ წაიყვანა სასურველად საქმე.

შეუდგნენ თუ არა სასკოლო შენობის მოპოვების ზრუნვას, პირველად გაჩერდნენ იმ შენობაზე, რომელშიაც ეხლა არის მოთავსებული ადგილი, და არც საკვირველი იყო ასეთი არჩევანი: სალი და საკმაო სივრცის ადგილი, მოსწავლეთათვის დასამხარი, შეძენის პირობების სიადვილე და ეხლანდელ შენობის გადაკეთების შედარებითი სიიაფე. დაუდევრობით, თუ სხვა მიზეზით, ეს ადგილი და შენობა ხელიდან გავუშვით. მოვსძებნეთ სხვა ადგილი (ვერაზე) სალი და ვრცელი; ერთად ერთი ნაკლი ამ არჩევანისა ის არის, რომ ადგილი ქალაქს მოშორებულია და მოსწავლეებს გაუჭირდებათ სიარული. ადგილი შევიძინეთ და სახლის გეგმის შედგენას შევუდექით, მაგრამ რა გეგმის შედგენას! რუსეთის იმპერიაში არსებული ყველა შენობები დავიწუნეთ და ისეთ რამეს მოვკიდეთ ხელი, რომელსაც... ღმერთმა შეგვაწყვდინოს. გეგმით შენობა შესანიშნავი რამ უნდა იქნეს ყოველ მხრივ, დაცულია მეცნიერებისა და პედაგოგიის ყოველი მოთხოვნა და ასეთ შენობის აგება სასარგებლოცა და სასახელოც იქნება ქართველ საზოგადოებისათვის. მაგრამ... 1901 წლამდე დახარჯულა შენობაზე 157,154 მ. და 68 კაპ. როგორც მცოდნე პირები ამბობენ, შენობას დასჭირდება კიდევ 400 ათასი. საიდან უნდა იშოვოს კომიტეტმა ეს ფული? განა არ სჯობდა, ცას არ ავწვდენოდით და ნაკლებ დიადი საქმე გაგვეკეთებინა? რასაკვირველია, სჯობდა და ეხლა საკუთარი შენობა გვექნებოდა, მაგრამ რადგანაც დავიწყეთ საქმე, გათავება უნდა. როგორ? სკოლის შენობის დაგირავება ყოვლად შეუძლებელია, რადგან 400 ათასი მანეთი ისეთ სარგებელს მოითხოვს, რომ ათწილად სჯობს ისევ დაქირავებულ სახლში დავრჩეთ. ისევ ბანკმა და თავად-აზნაურობამ უნდა იკისროს ეს საქმე და დააბოლოვოს იგი: ქარვასლა, თავად-აზნაურობაზე ერთ დროს გაწერილ ფულის შეგროვება, ბანკიდან დასაბრუნებელი თანხა და ბანკის შემოსავალი—აი ის წყაროები, რომელნიც უნდა შეაერთონ და რამდენიმე წლის განმავლობაში მაინც დაამთავრონ დაწყებული სასკოლო შენობა.

მესამე დიდი საქმე, რომელიც კომიტეტს და საზოგადოებას აწევს ვალად, არის სკოლის მასწავლებლების უზრუნველ-ყოფა. მასწავლებელი სკოლის სულის ჩამდგმელია. როგორიც შენობა არ აუშენოთ სკოლას, თუ კარგ მასწავლებლის შოვნა არ შეგიძლიათ, სკოლა მკვდარი და უსარგებლო შეიქნება. ეს ყველასათვის საანბანო ჭეშმარიტება უნდა იყოს. ამ მხრივაც კომიტეტს ცოტა რამ გაუკეთებია.

დიდი ხანია გადაწყვეტილია სკოლის მასწავლებლებისათვის საპენსიო კასის დაარსება. დაარსეს კიდეც ეს კასა, მაგრამ კომიტეტი მეტ უზრუნველობას იჩენს ამ მხრივ 1899 წელს კომიტეტმა წარუდგინა საზოგადო კრებას დასამტკიცებლად საპენსიო კასის წესდება. კრებამ უვარგისად იცნო იგი, დაავალა კომიტეტს ხელახლად შეემუშავებია იგი და წარმოედგინა შემდეგ კრებისათვის. კომიტეტს არავითარი ყურადღება არ მიუქცევია კრების ამ დადგენილებისათვის: წელს მესამე კრებაა და კომიტეტს არც წესდება განუხილავს ხელმეორედ და არც კრებისათვის წარმოუდგენია. საპენსიო კასა კი მოქმედობს ამ უვარგისად ცნობილ წესდების მიხედვით. კომიტეტის ამ მხრივ უზრუნველობის მეორე საბუთი ის არის, რომ საპენსიო თანხა სდგება თითქმის მარტო მასწავლებლების ჯამაგირებიდან: მასწავლებლის ისედაც მცირე ჯამაგირიდან უნდა შესდგეს სკოლისათვის საჭირო საპენსიო თანხა!

ამ წერილის დასასრულს არ შეგვიძლია არ აღვნიშნოთ ერთი ანორმალური მოვლენა, რომელსაც კავშირი აქვს, სხვათა შორის, მასწავლებლის მდგომარეობასთან: სკოლის გამგეს, რომელიც პასუხის მგებელია საზოგადოების წინაშე, რომელიც თავის მდგომარეობით დაახლოვებით იცნობს სკოლისა და მასწავლებლების მდგომარეობას, ხმა არა აქვს კომიტეტის სხდომაზე. ასეთი ანორმალური წესი უთუოდ უნდა მოისპოს და სკოლის გამგე კომიტეტის „აუცილებელ წევრად„ ითვლებოდეს.

ბა შეუწყნარებიათ. მეორე საქმის გარჩევასაც აჩერებდნენ იმ მოსაზრებით, რომ საერთო კითხვაა ამ ჟამად აღძრული იმის შესახებ, რომ ყველა ქსენონები იმ ადგილებში, სადაც სამთო-სამადნო საქმეებია, გადაეცეს ერობას ან ქალაქის თვით-მართველობას, მაგრამ, რადგანაც ჯერ-ჯერობით ქიათურაში არც ერობაა და არც ქალაქის თვით-მართველობა და ახლო მომავალშიაც საეჭვოა იქნება, თუ არა ეს დაწესებულებანი, ამიტომ საბჭოს წარმომადგენლის თხოვნით ეს საქმეც ამ მოკლე ხანში სახელმწიფო საბჭოს გადაეცემა საერთო კითხვის გადაწყვეტამდის.

◆ „ნოვ. ობოზ.“-ს ატყობინებენ, რომ ტფილისის თავად-აზნაურთა წინამძღოლი **თავ. დ. ზ. მელიქიშვილი,** რომელიც ამ ჟამად სამსახურის გამო პეტერბურგში იმყოფება, ტფილისში ჩამოვა მაისის დამლევს. ამავე დროსთვის მოწვეული იქნება გუბერნიის თავად-აზნაურთა საგანგებო კრება, რომელიც საბოლოოდ განიხილავს უმაღლესად ნაბოძებ ორმოცი ათასი მანეთის მოხმარების საქმეს თავად-აზნაურთა შვილების აღზრდის საჭიროებათა მიხედვით.

◆ **ოზურგეთის რკინის გზის საქმე,** როგორც პეტერბურგიდან გვწერენ, გადაუციათ რკინის გზების კონცესსიის ნება-დამრთველ საგანგებო კომისიისათვის. კომისიის თავმჯდომარეს, რკინის გზის დეპარტამენტის დირექტორს, ბ. ცინგლერს საჭიროდ უცვნია მოიწვიოს კომისიის მსჯელობის დროს ამ საქმის შესახებ კონცესსის მთხოვნელი თავ. ნიკო თავდგირიძე, რომელიც ამ ჟამად პეტერბურგში იმყოფება და ცდილობს ამ საქმის დაბოლოვებას.

◆ ტფილისის სამოსამართლო პალატის ბრალმდებლად დანიშნულია **ბ. კოვალევსკი,** რომელიც კარგად იცნობს ჩვენს ქვეყანას და ნათესავიც არის ზოგიერთ ჩვენებურ ოჯახებისა (მას ცოლად ჰყავდა ჩვენებური წულუკიძის ქალი).

◆ კავკასიის სამოსწავლო ოლქის მზრუნველს ამ ჟამად წარმოუდგენია **საერო განათლების სამინისტროს** უწყების სკოლების შესანახად მომავალ სამს წელს შემდეგი ფული. ნორმალური სკოლების შესანახად ტფ. გუბერნიაში 4,500 მან., ქუთაისის გუბერნიაში-4,700 მან. გარდა ამისა გამოანგარიშებულია სახელოსნო კლასების შესანახად ახალციხის და ახალქალაქის საქალაქო სკოლებში და ქვემო-მაჩხაანის სასოფლო ნორმალურ სასწავლებელში ათას-ათასი მანეთი თითოსათვის.

ერობის ხარჯით უნდა შეინახონ: ტფილისის გუბერნიაში ხუთი ნორმალური სასოფლო სასწავლებელი და სამი სახელოსნო განყოფილება; ქუთაისის გუბერნიაში-სამი ერთკლასიანი და ორიც ორკლასიანი სასწავლებელი..

◆ „კავკასიაში მართლ-მადიდებლობის აღმადგენელმა საზოგადოების“ საბჭომ დაადგინა გახსნას მომავალ სამოსწავლო წლიდან ხევსურეთში სამი **წერა-კითხვის სკოლა;** სახელდობრ—სოფლებ როშკაში, ბაცალიგოში და ხახმატში. ამ სკოლებისათვის სადგომები უკვე არის, რადგან როდესაც სამღვდელოებისათვის სახლებს აშენებდა ამ საზოგადოების ინსპექტორი ბ. ევ. მამინაიშვილი, თითოეულს სახლში ერთ ოთახს საგანგებოდ სტოვებდა სკოლის მოსათავსებლად. ამ რიგად ხევსურეთში იქნება ერთი სამრევლო და ოთხი წერა-კითხვის სკოლა, რომელნიც ხსენებულ საზოგადოებას ექვემდებარებიან; სხვა უწყებას კი აქ სკოლა არა აქვს.

◆ მოგვივიდა „ქ. შ. **წერა-კითხვის გამავრცელებელის საზოგადოების“** მოქმედების ანგარიში 1901 წლის განმავლობაში. მოგვყავს ანგარიშიდან ზოგიერთი ცნობები: საანგარიშო წელს საზოგადოებას მოჰმატებია 88 ნამდვილი წევრი, ასე რომ წლის დამლევს საზოგადოებაში ყოფილა 152 წევრი; მათგან—6 საპატიო, 68 დამფუძნებელი და 678 ნამდვილი. საანგარიშო წელს საზოგადოებას იმდენივე სკოლა ჰქონია, რამდენიც წინად; სახალხო ბიბლიოთეკა მოჰმატებია 2—ერთი ტფილისში (მესამე) და ერთიც ხონში. სკოლებს და ბიბლიოთეკებს საზოგადოება წლის განმავლობაში შეწევნია ფულად და ნივთებად სულ 714 მ. და 67 კ-სა. საზოგადოების ბიბლიოთეკას წლის განმავლობაში მიჰმატებია 156 ქართული და 71 უცხოელი წიგნი და ხელნაწერი; აწე რომ ამ ჟამად ბიბლიოთეკაში ქართული წიგნი და ხელნაწერი 3765 და უცხო ენაზე ნაწერი 1325. საანგარიშო წლის განმავლობაში დაბეჭდილა საზოგადოების ხარჯით 4 წიგნი. საგანგებო თანხები ამ ჟამად საზოგადოებას ჰქონია—12,440 მან. 45 კ. საანგარიშო წელს საზოგადოებას შემოსვლია: საწევრო ფული 1833 მან., ყულაბებით 85 მ. 25 კ., წიგნების ვაჭრობიდან 1485 მ. 11 კ. და თავნის სარგებლიდან 545 მ. 17 კაპ. და სხვა; სულ შემოსავალი ყოფილა 18.812 მ. 99 კ. გასავალი-კი 18986 მ. 72 კაპ., დეფიციტი-173 მ. 73 კაპ.

◆ სახელმწიფო ბანკის შემნახველი კასის განყოფილებაში, რომელიც ტფილისის ფოსტა-ტელეგრაფის კანტორასთან არის დაარსებული, აპრილში **შესანახად შეუტანიათ** 56,726 მანეთი, ხოლო პირველ იანვრიდან პირველ მაისამდე—220,888 მან., 25 კაპ.; აპრილში შემნახველთ დაუბრუნდათ 19,367 მან. 16 კაპ., ხოლო პირველ მაისამდე—70,617 მან. 67 კაპ.

◆ ამას წინად ადგილობრივ გაზეთებში და ჩვენსაშიაც დაბეჭდილი იყო ამბავი ლაგოდეხის ახლო ავაზაკებისაგან **აფიცრის მოკვლის შესახებ.** ამის შესახებ შემდეგს გვატყობინებენ: ახალგაზდა აფიცერი რუსეთის ერთ-ერთ შიდა გუბერნიიდან ჩამოსულა ძმის სანახავად, რომელიც ლაგოდეხში მსახურებს ფოსტა-ტელეგრაფის კანტორის უფროსის თანაშემწედ. ძმა გზაში დახვედრია და ერთად წამოსულან ეტლით. ლაგოდეხს ახლო მათ შემოსევია ბუჩქნარში ჩასაფრებული ავაზაკთა ბრბო. აფიცერს წინააღმდეგობა გაუწევია; რევოლვერიც ამოუღია, მაგრამ სროლა ვერ მოუსწრია: ერთმა ავაზაკმა თოფი ესროლა და იქვე მოჰკლა. შემდეგ ავაზაკთ გაცარცვეს მკვდარი და მისი ცოცხალი ძმა და გაიქცნენ. ამ ჟამად სამის ავაზაკის ვინაობა გამოუმჟღავნებიათ და ერთი კიდეც დაუჭერიათ; ესენი ყოფილან სოფ. კაბოხლის მცხოვრები ლეკები. იმედი აქვთ, რომ დანარჩენებსაც მალე დაიჭერენ.

◆ ტირძნისის (გორის მაზრა) ორ-კლასიან საეკკლესიო სამრევლო სკოლაში განიზრახეს დააწესონ **ოც-და ხუთი სტიპენდია,** რისთვისაც გამოუანგარიშებიათ 1,000 მან. ეს ხარჯი უნდა გადიდვას ამიერ კავკასიის საერობო თანხიდან („ტფ. ლისტ.“).

◆ საეკკლესიო-სამრევლო სკოლების ოლქის ზედამხედველი **დეკანოზი ვოსტორგოვი** შვიდ მაისს დაბრუნდა გურია-სამეგრელოდან ტფილისში; ხოლო რვა მაისს გაემგზავრა სკოლების სარევიზიოდ ყარსის ოლქში.

◆ პეტერბურგიდან გვწერენ, რომ ტფ. სახაზინო თეატრის არტისტი—მომღერალი ბ. გორიაინოვი საიმპერატორო სცენაზე მიუღიათ.

◆ კვირას, 5 მაისს, ფოთში მსახიობმა ქალმა ნ. ჰ. ჩხეიძემ გამართა ქართული წარმოდგენა. ითამაშეს „ეხლანდელი სიყვარული“ კომედია 4 მოქ. ვასო აბაშიძისა. წარმოდგენამ საზოგადოთ კარგად ჩაიარა; განსაკუთრებით მშვენივრად ითამაშა ნუცას—იაკობის ქალის— როლი ქ. ნ. ჩხეიძემ. და ბოლოს გაიმართა დივერტისმენტი, რომლის დროს სცენების კითხვით ბევრი აცინა საზოგადოება ბ მა ალ. არაბიძემ. წარმოდგენას საზოგადოება ბლომათ დაესწრო და ყველა ნასიამოვნები დაიშალა.

ქუთაისის ახალი ამბები

∾ ტფ. ქუჩაზე არსებულ ქალაქის სახლის აფთიაქისათვის გადასაკეთებლად ქალაქმა გადასდო 3100 მანეთი. უნდა გადაკეთდეს და მოეწყოს აფთიაქისთვის ოთხი ეხლანდელი დუქანი. ეს ოთხი დუქანი შეიძლება გადაკეთდეს ხუთ ოთახად, რომელიც თითქმის სულ აფთიაქს დასჭირდება; ასე რომ მოსამსახურეებისათვის სადგომი ადგილი აღარ დარჩება, რაც აფთიაქის საქმეებს ძლიერ დააბრკოლებს. თუ ეხლა, მაგალითად, აფთიაქში ხუთი მოსამსახურეა, ახალ შენობაში გადატანის შემდეგ 8—9 მოსამსახურე იქნება საჭირო, რადგან მუშაობა უეჭველად გაორკეცდება. ქალაქი იძულებული გახდება ამ 8—9 მოსამსახურეს ცალკე დაუქირაოს ბინა 5—6 ოთახამდის (აფთიაქის მმართველს ეხლა აქვს მიჩენილი ორი ოთახი, შემდეგში კი სამს მოელის), რასაც წლიურად დასჭირდება 300—400 მანეთამდის. ჩემი ფიქრით, ბევრად უმჯობესი და სასარგებლო იქნებოდა ქალაქისათვის, რომ ეხლანდელ ერთსართულიან შენობას, რომელიც 10 დიდ ოთახს შეიცავს და 8500 მანეთამდის დაჯდა,—ზევით მეორე სართულიც დაშენებოდა. ათ დუქანს ზევით შეიძლებოდა მოთავსებულიყო 15—20 საკმაოდ მოზრდილი ოთახი. ეს გამოიწვევდა ბევრად იმაზე უფრო ნაკლებ ხარჯს, რაც ქვემო სართულს დასჭირდა; ყოველ შემთხვევაში არა უმეტეს 7000—8000 მანეთისა. სამაგიეროდ ქალაქს აღარ დასჭირდებოდა მოსამსახურეებისათვის ცალკე ბინის ქირაობა და წლიურად 300—400 მანეთის ხდა; გარდა ამისა, ზევითა სართულში შეიძლებოდა მოთავსებულიყო ქალაქის უფასო სამკურნალო, რომლის შენობაშიაც ქალაქი ეხლა წლიურად 750 მანეთს იხდის. სამკურნალოს აფთიაქის მახლობლად გადმოტანას კი ძლიერ დიდი მნიშვნელობა ექნება აფთიაქის შემოსავალზე. ამას გარდა, ჩემი ფიქრით, 5—6 ოთახი კიდევ თავისუფალი დარჩებოდა, რომელიც წლიურად სამას მანეთამდის შემოიტანდა. ამგვარად, თუ ქალაქმა 7000—8000 მანეთის შოვნა მოახერხა და შენობას მეორე სართულიც დააშენა, იმ შემთხვევაში ზევითა სართულიდან ყოველ წლიურად შემოსავალი ექმნება 1400 მანეთამდის, რომელსაც მიემატება კიდევ ის მოგება, რასაც სამკურნალოს გადმოტანით ნახავს აფთიაქი. ამასთან ისიც უნდა ვიქონიოთ სახეში, რომ მეორე სართულის დაშენებით აფთიაქს შნო და ლაზათი მიეცემა, რასაც დიდი მნიშვნელობა აქვს ყოველ გვარ ვაჭრობაში, თორემ ეხლანდელი შენობა ნამდვილ სამიკიტნოების წყობას წარმოადგენს.

გულწრფელად ვურჩევ შენობის გადასაკეთებლად ამორჩეულ კომისიას, ნუ აუჩქარდება საქმეს, წარმოიდგინოს ყოველი მოსალოდნელი შემთხვევა და ისე გადააკეთოს შენობა, რომ შემდეგში სანანებლად არ დაურჩეს. ის მაინც ნუ დაავიწყდება, რა მდგომარეობაში ჩავარდა ქალაქი წყლის გამომყვან ამხანაგობასთან წინდაუხედავათ პირობის შეკვრით.

ქუთაისის გუბერნიის მეაბრეშუმეთა პირველ ამხანაგობის წლიური კრება

კვირას, 5 მაისს, სოფ. კუხში შესდგა მეაბრეშუმეთა პირველ ამხანაგობის კრება, რომელზედაც 2,077 წევრიდან დაესწრო მხოლოდ 240-მდე. კრების თავმჯდომარედ არჩეული იქმნა ადგილობრივი მოსამართლე ი. რ. ტატიშვილი და მდივნად—ის. კვიცარიძე. ამხანაგობის მმართველმა ნ. წერეთელმა მოახსენა კრებას 1900 და 1901 წლების ანგარიში.

1 მარტისათვის ბალანსს შეადგენს: წილის ფული 25,342 მან. 86 კაპ; სათადარიგო თანხა 2567 მან. ძირის თანხა—2567 მან. გადასატანი ფული 8725 მან. 47 კაპ.; ნასესხი 37,351 მან. 31 კაპ. მოგება 1901 წელს—97 მან. 66 კ.პ...

იმ დროს კასსაში იყო—17,313 მან.—33 კაპ. დებიტორები 12,285 მან. 99 კაპ.; საქსოვ ქარხანაზე 346 მან. 96 კაპ. ძაფად 2391—მან. 16 კაპ. ქსოვილებად—5127 მან. 16 კაპ. წილის ფული საკრედიტო საზოგად. 1250 მან.; პარკად არის 18,318 მან. 54 კაპ.; ქონებად 14,685 მან. 39 კაპ.; სულ 71719 მან. 68 კაპ.; 1900 წლის ზარალი—4,931 მან. 62 კაპ. სულ 76,651 მან. 30 კაპ.

1900 წელს ამხანაგობას უყიდია 6994 ფუთი და 3 გირვანქა ნედლი პარკი 82584 მან. და 93 კაპ. აქედან ამხანაგთაგან თუ არა ამხანაგთაგან ნაყიდია 2844 ფუთ. 9 გირ. 40,988 მან. 71 კაპ. ფუთი ერთი მეორეზე 14 მან. და 40 კაპ. დანარჩენი 4149 ფუთი და 34 გირვანქა დატოვებული იყო ამხანაგთაგან ფუთში თითო თუმნის ავანსად მიღებით. ე. ი. შეგნებულ და გულ შემატკივარ წევრებმა მოისურვეს ამხანაგობის დახმარება და იმის და მიუხედავად, რომ ადგილობრივ ბაზარზე კერძო ვაჭრები ფუთზე 14 და 15 მანეთს იძლეოდენ, ამხანაგობას დაუტოვეს ფუთი თუმნის ავანსად მიღებით და დანარჩენ ხუთი თუ ექვსი მანეთი მათ უნდა მიეღოთ პარკის გასყიდვის შემდეგ. ასე რომ 4149 ფუთი დატოვებული პარკი ამხანაგობას უღირს 41,596 მან, 22 კაპ. კი არა, 59.880 მან. 82 კაპ. სულ ნაყიდი ნედლი პარკის ღირებულება შეადგენს 100,869 მან. და 53 კაპ. და 82,584 მანეთი—93 კაპ. ნ. წერეთელი ამბობს თავის ანგარიშში.

„ამხანაგობამ რომ გაასაღოს ამხანაგთა ნაწარმოები, საჭიროა, ეს ნაწარმოები ბაზარში გაიტანოს, სადაც მას ფასი აქვს და მყიდველი ამ ნაწარმოების მომხმარებელი არის. ასეთი ბაზარი აბრეშუმის პარკისათვის, სანამ ჩვენში ძაფის ამომღები ქარხნები დაარსდებოდეს, არის საფრანგეთი და იტალია. იქაური ქარხნები პარკიდან ძაფს იღებენ და ამ ძაფს თითონაც ხმარობენ საქსოვ ქარხნებში და მთელი ქვეყნის, ამერიკის, ინგლისის, ავსტრიის და თვით რუსეთის ფაბრიკებს აწვდიან. ჩვენი ქვეყნის პარკს ეზიდებიან საზღვარ-გარედ სომხები და ბერძნები. ამხანაგობამაც საზღვარ-გარეთს მიმართა პარკის გასასაღებლად 1898 წლიდან, მაგრამ, როგორც იქაური ხარჯების დასაფარავად, ისე იქაური მუშტრების ყურადღების მისაქცევად, ანუ მოკლეთ რომ ვსთქვათ, უკეთესი ბაზრის მოსაპოვებლად საჭიროა საქონლის არა მცირედი რაოდენობა. პირველად, 1898 წელს, ამხანაგობამ საზღვარ-გარედ ათას ფუთამდის ხმელი პარკი გაგზავნა. შემდეგ წელიწადს ორი ათასამდის, ხოლო საანგარიშო წელს ამხანაგობამ საკამისიოდ გასასყიდად წაიღო 14 სხვა-და-სხვა ჩვენებურ წვრილ მოვაჭრეთა პარკიც“.

როგორც ანგარიშიდან სჩანს, წადებული ყოფილა საკამისოდ ვაჭრებ შნეიდერის, ბეგოვისა და სხვების სულ 1401 ფუთი ხმელი პარკი. გარდა ამისა უყიდია კიდევ ვაჭრებისაგან 444 ფუთი 36 გირ. ხმელი პარკი 53 და 50 მანეთად ფუთი, სულ 22,342 მან. 71 კაპ. სულ საზღვარ-გარეთ წადებული პარკი ამხანაგობას შეუდგა ოთხი-ათას ფუთამდე.

ამხანაგობამ ს. კუხში 117 ფუთი ხმელი პარკი მიჰყიდა ადგილობრივ ვაჭარს 58 მან. ფუთი იმ დროს, როდესაც საზღვარ გარედ ერთი ფუთი ხმელი პარკი ფასობდა 50 მანეთამდე: ასე რომ ბ. წერეთლის საზღვარ გარეთ პარკის გაყიდ,ის სურვილს რომ არ გადაეჭარბებინა და პარკი ადგილობრივად გაესაღებინა—ამხანაგობა დიდს მოგებას ნახავდა. ახირებული მოსაზრება და გამჭრიახობა ჰქონია მმართველს, რომელიც ამბობს თავს ანგარიშში.—

„თუმცა 1900 წლის დამდეგიდან საზღვარ-გარეთ პარკის ფასმა ნელ-ნელა იკლო და ივანობისთვეში (ე. ი. იმდროს, როცა ჩვენში ნედლი პარკის ყიდვის დროა.) კილო ხმელი (ორი გირვანქა ნახევარი) პარკი 9 ფრანკამდე (3 მან. 33 კაპეიკამდე ან 53 მანეთამდე ფუთი). ჩამოვიდა, მაგრამ არავის ეგონა წინა წლის დაჩვეულებს, თუ ეკენისთვის და მწიფობის თვეებში ფასები ისევ არ აიწეოდა, და კილო 10—12 ფრანკი არ გახდებოდა! ბოლოს გამყიდველებს ლოდინი მოგვწყინდა და ამასთან, რადგან დავინახეთ, რომ 1901 წლის მოსავლამდინ ფასები აღარ შეიცვლებოდა, იძულებული შევიქენით პარკები არსებულ ფასებში გაგვეყიდაო“.

მმართველის აზრით, საანგარიშო წელს ამხანაგობას პარკის აღებ—მიცემობიდან მიუღია მოგებად 5,544 მან.; და თესლსაც 672 მან. 09 კაპ. სულ 6,216 მ. 9 კაპ.

ეს ფული ვერ გასწვდა თუ ხარჯებს, თუ ზოგიერთ წვრილმან ზარალს, რომელმაც გადააჭარბა მოგებას 4,931 მან. 62 კაპეიკით. დასასრულ მმართველი ურჩევს კრებას, რადგან 1900 წლის ზარალს 4,931 მან. დაფარავს სათადარიგო და ძირის თანხა, არ იქნება ურიგო და სამართლიანობაც მოითხოვს, რომ იმ მწარმოებლებს, ვინც ამხანაგობას დაუტოვა პარკი და ფუთზე თუმანი აიღო ავანსად, დანარჩენი კი გაყიდვის შემდეგ უნდა მიეღო, მიეცეს დამატებითი ფასად ფუთზე თუმანი, რაც შეადგენს 4,149 მანეთს, ეს ფული წილის ფულიდან მეცეს, რომელიც იქნეს შევსებული შემდეგ წლის მოგებიდან და სხვა.“ 1901 წლის აღებ-მიცემობიდან ამხანაგობას მოსვლია ზარალი თესლის აპერაციაში 4000 მანეთი, მაგრამ ეს ზარალი მეთესლეებს შეუწევიათ, ასე რომ საანგარიშო წელს აპერაციდან ამხანაგობას მაინც მიუღია მოგება 97 მან. და 66 კაპ. პარკის აპერაციიდან.

შემდეგ კრებას მოხსენდა სარევიზიო კომისიის ანგარიში, რომელშიაც აღნიშნულია, რომ კომისიამ შეამოწმა ამხანაგობის ყველა აღებ—მიცემობის დავთრები და საბუღალტერიო წიგნები, კასსა, ქონება და აღმოჩნდა, რომ მმართველის მიერ წარმოდგენილ ანგარიშში ნაჩვენები ციფრებსა და საბუთებს ეთანხმება. ხოლო რაც შეეხება 1900 წლის ზარალს, ეს მოუვიდა მმართველს შეცდომით. ნოემბერში, როცა პარკის ფასი 9 ფრანკამდე იყო, მაშინ რომ გაეყიდა მმართველს პარკი, კიდევ არა უშავდა რა, მაგრამ ხუთი თვე კიდევ გააჩერა იქ საქონელი და შემდეგ 8 ფრანკად გაყიდა, ასე რომ ზარალი ფაქტიურად ამხანაგობას თუ ვიანგარიშებთ იმ დამატებითი ფასს, რომელიც ჩვენ მწარმოებელთათვის უნდა მივეცათ 23,000 მან. იქნებათ. სამაგიეროდ ამხანაგობამ შეიძინა ევროპის ბაზარზე დიდი ვაჭრისა და ექსპორტიორის სახელით და გაეცნო იქაურ ბაზარსაო. შემდეგისათვის სარევიზიო კომისია ურჩევს ამხანაგობას, რომ უსათუოდ გააუქმოს საფეიქრო, რომელიც ყოველ წლივ დიდ ზარალს აძლევს ამხანაგობას; დაუკლოს ფასები ქსოვილებს და გაყიდოს იგი; მოიპოვოს საოპერაციო თანხა ცოტა სარგებლით და გადატანილ იქმნეს ამხანაგობის მართვა-გამგეობა სოფ. კუხიდან ქ. ხონში.

(დასასრული იქნება).

გამიჯვნის საქმე ქუთაისის გუბერნიაში

(დასასრული*)

სოფ. ბაღდადის, ბობოთის და წყალტუბოს მამულების გამიჯვნა დაიწყება მაისში და გასტანს ივლისამდე. გამიჯვნა მინდობილი აქვს უმცროს მიწის მზომელს ბელოდედოვს. სოფ. ხომულის მამულების გამიჯვნა დაიწყება მაისში უმცროს მიწის მზომლის თანაშემწის რუდნევის მიერ.

სოფ ზედა მაღლაკს და დიდი ჯიხაიშში გამიჯვნა დაიწყება მაისში უმცროსი მიწის მზომელ ზალესკის მიერ. სოფელ ფარცხნაყანევში გამიჯვნის გაგრძელება დაიწყება მაისში უმცროს მიწის მზომელ ნოვიცკის მიერ. სოფ. გეგუთის გამიჯვნა დაიწყება მაისში უმცროს მიწის მზომელ თ. ლეონიძის მიერ. იმასვე აქვს მინდობილი ზედა და ქვედა საყულიას მამულების გამიჯვნის საქმე. სოფ. სიმონეთის, ახალ-დაბა, გოდოგანი, და სორმონის მამულების გამიჯვნა დაიწყება, მაისში და გასტანს აგვისტომდინ. მუშაობა მინდობილი აქვს უმცროს მიწის მზომელს მანუილოვს.

სოფელ რიონის და ზარათის მამულების გამიჯვნის გაგრძელება დაიწყება მაისში უმცროს მიწის მზომელის ვისოწინის და უმცროს მიწის მზომლის თანაშემწის ბიოვსკის მიერ. მუშაობა გასტანს აგვისტოს დამლევამდე.

ლეჩხუმის მაზრა.

სოფ. ლუხერას მამულების გამიჯვნა დაიწყება მაისში უმცროს მიწის მზომელ სოლდათოვის მიერ.

მესამე ქუთაისის სამიჯნო ოლქი. შორაპნის მაზრა.

სოფელ დეგვანის მამულების გამიჯვნა დაიწყება ივანობისთვეში უმცროს მიწის მზომლის თანაშემწის გრინევსკის მიერ. სოფელ მარელისში და სერბაისში ივანობისთვეში უმცროს მიწის მზომლის თანაშემწის შველიძის მიერ.

სოფელ ელიზნაურის მამულების გამიჯვნა დაიწყება აგვისტოში უმცროსი მიწის მზომლის თანაშემწის კულიკოვსკის მიერ. სოფ. მასაკიძელი და ზედუბანში აგვისტოში უმცროს მიწის მზომლის თანაშემწის ჟდანოვის მიერ.

მესამე ქუთაისის სამიჯნო ოლქი. შორაპნის მაზრა.

სოფ. სვირში გამიჯვნას დაიწყებენ მაისში უმცროსი მიწის მზომელის თანაშემწე რუბაჩევი. სოფ. ბოსლევში დაიწყებენ გამიჯვნას მაისში: მიწის მზომელის თანაშემწე გრიგორიევი.

სოფ. ზოვრეთში მაისში: უმცრ. მიწის მზომელის თანაშემწე კულიკოვსკი.

სოფ. საზანოსა და ორლულის მამულების გამიჯვნა ივლისში დაიწყება და გასტანს აგვისტომდე.

სოფ. საქარის მამულების გამიჯვნა დაიწყება მაისში უმცროსი მიწის მზომელის პოდსედლოვსკის მიერ.

სოფ. ზედა საქარის მამულების გამიჯვნა დაიწყება მაისში. მიწის მზომელი პოდსედლოვსკის მიერ.

სოფლებ კვალითი, ტაბაკინი, ფარცხნალს, სლითსა და სადანძილში გამიჯვნა დაიწყობა მაისში და გასტანს აგვისტომდე.

რაჭის მაზრაში.

სოფ. თავშავი, ჩიორა, ღლოლა, სადმელისისა, და სხვავის გამიჯვნა დაიწყება მაისში და გასტანს ივნისამდე. გამიჯვნა მინდობილი აქვს მიწის მზომელ ლებედევს.

დეპეშა

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან)

8 მაისი

ხრისტიანია. ნეიტრალიტეტის კომისიამ წინადადება მისცა სტორტინგს მმართველობას მიანდოს მოლაპარაკება შვეციისა და ნორვეგიის მუდმივ ნეიტრალიტეტზე.

ჰავანა. ამერიკის სამხედრო გუბერნატორმა ვუდმა მმართველობა გადასცა კუბის რესპუბლიკის პრეზიდენტს და ამერიკის ჯარით მიატოვა კუნძული.

ლონდონი. „ტაიმსს“ გაუგია, რომ ჩინეთის აქაურ ელჩს ლოფენგ-ლუს პეკინში სასახლეში აძლევენ თანამდებობას.

ფორტ-დე-ფრანსი. ზღვის ტალღამ წალეკა ნავთსადგურის კობეს ნაწილი. კუნძულის ჩრდილოეთ ნაწილში მცხოვრებნი ფორტ-დე-ფრანსიდამ გვადელუპში მიდიან...

ბერლინი. დღეს ლანდტაგს წარედგინა ახალი წინადადება შესახებ პრუსსიაში და პოზნანში გერმანელთა დასახლებისათვის ფონდის გაძლიერებისა 350 მილიონამდე 200 მილიონის მაგივრად; გარდა ამისა გადიდება 100 მილიონი სახელმწიფოს სახელზე ადგილების შესაძენად.

ვენა. „ნეი-ფრეი-პრეისი“ ლუბეს რუსეთში წასვლის შესახებ ამბობს, რომ ორთა კავშირს მნიშვნელობა აქვს მშვიდობიანობის დასაცავად. ის გარემოება, რომ ორთა კავშირმა თავისი მოქმედება გაავრცელა აღმოსავლეთ აზიაში, არ უნდა აწუხებდეს ევროპას, რადგანაც იქაც გამოაცხადა თავის პრინციპი ერთზომიერებისა.

პარიზი. „ტან“-მა, „ჟურნალ-დე-დებამ“ და სხვა გაზეთებმა დაპეჭდეს ოფიციალური ცნობები იმის შესახებ, რომ ვალდეკ-რუსსოს კაბინეტი თავს ანებებს სამსახურს. სარწმუნოდ მიაჩნიათ, რომ ახალ კაბინეტის მოთავედ ლეონ ბურჟუა იქნება.

კალუგა. მედინის მაზრაში ახლად დაარსებული ქალთა საზოგადოება ჰხსნის თავშესაფარს ყრუ-მუნჯთათვის.

ერევანი. სარდარაბადის სამხრეთ ნაწილში მოვიდნენ ტეხნიკები და ჰიდრავლიკები, რომ ადგილები გამოიკვლიონ მინდვრების მოსარწყავად. ზრუნავენ რუსების დასასახლებლად კავკასიის აქეთა მხარეს.

პეტერბურგი. 8 მაისს კრასნოსელსკის სამხედრო მინდორზე ჯარები დაათვალიერეს მისმა იმპერატორებითი უდიდებულესობამ და პრეზიდენტმა ლუბემ. დათვალიერება დაიწყო დილის 11 საათზე. მონაწილეობა მიიღეს 56½ ბატალიონმა, 36 ესკადრონმა, 12 „სოტნამ“, 230 ქვეითა და 36 ცხენოსანმა არტილერიამ. ჯარს განაგებდა დიდი მთავარი ნიკოლოოზ ნიკოლოზის ძე. პარადის შემდეგ კრასნოე სელოში სამეფო კარავში გამართული იყო საუზმე. უმთავრეს სტოლზე, შუაგულს ადგილები ხელმწიფე-იმპერატორისათვის და პრეზიდენტისათვის იყო მომზადებული. საუზმეზე კრასნოსელსკის სასახლიდან მობრძანდნენ: ხელმწიფე იმპერატორი, დედოფალი ალექსანდრა თეოდორეს ასული და მარიამ თეოდორეს ასული, პრეზიდენტი, მემკვიდრე, დიდი მთავარნი და მთავრინანი. პრეზიზედენტის ადგილი მისი უდიდებულესობის მარჯვნივ იყო, პრეზიდენტის მარჯვნივ იჯდა დედოფალი მარიამ თეოდორეს ასული, ხელმწიფე იმპერატორთან მარცხნივ იჯდა დედოფალი ალექსანდრა თეოდორეს ასული. საუზმეზე ხელმწიფე იმპერატორმა შემდეგი სადღეგრძელო წარმოსთქვა:

„ბატონო პრეზიდენტო, ჩემი ჯარები, რომელთაც ეხლახან თქვენ წინ გაიარეს, ბედნიერები არიან, რომ შეიძლეს სალამი მიეცათ მეგობარ და მოკავშირე სახელმწიფოს დიდად პატივცემულ მეთაურისათვის. მხურვალე სიმპატია, რომელსაც გრძნობს რუსეთის ჯარი საფრანგეთის მშვენიერ ჯარისადმი, თქვენ კარგად იცით; იგი იარაღის ნამდვილი ძმობაა, რის აღნიშვნაც ჩვენ მით უფრო მეტის კმაყოფილებით შეგვიძლია, რომ ამ დიდის ძალის დანიშნულება აგრესიულ განზრახვათა მხრის მიცემა კი არ არის, არამედ იმ მაღალ პრინციპების დაცვა, რომელნიც უზრუნველ ჰყოფენ ხალხების კეთილდღეობას და ხელს უწყობენ მათ პროგრესს. მე ვსვამ სადღეგრძელოს საფრანგეთის მამაც ჯარის წარმატებისა და დიდებისათვის“. მის უდიდებულესობის ტოსტის საპასუხოდ საფრანგეთის რესპუბლიკის პრეზიდენტმა შემდეგი სადღეგრძელო წარმოსთქვა: „ხელმწიფევ, ვმადლობ თქვენს უდიდებულესობას, რომ შემთხვევა მომცა მესიამოვნა იმ მშვენიერ ჯარების ცქერით, რომელთა შეხედულება, მამაცური მიმოხვრა და განსწავლული მოძრაობა მოწმობენ, რომ რუსეთის ჯარი განუწყვეტელის პროგრესით არ ჩამორჩენია თავის დიდ სახელს. ისე როგორც ურთიერთი სიმპატია და უმაღლესი ინტერესები აერთებს ორ ერს, ასევე იარაღის კეთილშობილური ძმობა და ურთიერთი პატივისცემა მჭიდროდ აკავშირებს ორ ჯარს. ეს დიდი ძალა არავისთვის მუქარა არ არის, მაგრამ რუსეთსა და საფრანგეთს ნება აქვთ ჩასთვალონ ეს ჯარები თავიანთ უფლებათა მოხმარების გარანტიად და ისეთ თავშესაფარად, რომლის მფარველობის ქვეშ მათ შეუძლიანთ მშვიდობიანად განაგრძონ თავიანთი ნაყოფიერი შრომა, რომელიც წარმატებასთან ერთად მისცემს მათ მეტ ძლიერებასა და კანონიერ გავლენას. საფრანგეთის ჯარის სახელით, რომელსაც არ დავიწყებია ის პატივი, რომელიც თქვენმა უდიდებულესობამ სცა მას მის აღლუმის დასწრებით, ვსვამ სადღეგრძელოს რუსეთის მამაც ჯარის დიდებისათვის“.

სევასტოპოლი. საბჭომ დაადგინა ლუბეს პატივსაცემლად 9 მაისს გამართოს დიდი სახალხო სეირნობა, ხოლო თეატრში—წარმოდგენა და მიიწვიოს სევაატოპოლის საფრანგეთის წარმომადგენელნი. ქალაქი ბაირაღებით იქნება მორთული და გაჩაღებული.

ვილნა. „ვილენსკი ვესტნიკ“-ში დაბეჭდილია ფონ-ვაალთან გამოგზავნილი ხელმწიფე-იმპერატორის დეპეშა: „მიიღეთ ჩემი გულ-წრფელი სიხარული თქვენი გადარჩენის გამო. გულით ვისურვებ მალე მორჩეთ.“

პეტერბურგი. საოლქო სასამართლოს დერეფანში ნაფიცი ვექილის თანაშემწედ ყოფილმა კოსეცკიმ რევოლვერით მსუბუქად დასჭრა კისერში თავისი მოწინააღმდეგე ფრანსკა. კოსეცკი დაატუსაღეს.

9 მაისი.

სამარყანდი. სახელმწიფო ბანკმა შეიძინა შუაგულ ქალაქში ადგილი საკუთარ შენობის ასაგებად.

ბაქო. 6 მაისს ბაქოს მაზრაში სამმა კატორგიდან გამოქცეულმა ყაჩაღმა გაძარცვა ოკუნიევის თევზეულობის საწყობი. საერობო დარაჯებმა ორი ყაჩაღი მოჰკლეს და ერთი დაიჭირეს. ერთი დარაჯი მოკლულია.

სოხუმი. სმეცკის სანატორიას გახსნიან სექტემბრის დამლევს.

პრეტორია. აქ ჩამოვიდა ექვსი დელეგატი, რომელნიც ფერეინიგუნგის კრებამ ამოირჩია, აგრეთვე დევეტი და დელარეიც რვა სეკრეტარითურთ. ესენი ცხოვრობენ კიტჩინერის სახლის გვერდით. მილნერი გუშინ ჩამოვიდა.

ფორტ-დე-ფრანს. ზღვამ წალეკა კარბეს ნავთ-სადგურის ერთი ნაწილი; კუნძულის ჩრდილოეთ ნაწილის მცხოვრებნი მეტად შეშინებულნი არიან და სტოვებენ ფორტ-დე-ფრანსს.

ლონდონი. ტრანსვალელ ბურების უმრავლესობა თანახმაა ზავის ჩამოგდებაზე. ორანჟელებს, პირიქით, სურდათ დამოუკიდებლობა როგორც აუცილებელი პირობა ზავზე მოლაპარაკების გამართვისა.

პეკინი. ელჩებმა გადასწყვიტეს წინდაწინვე გაანაწილონ ის საზღაური, რომელსაც ჩინელები იხდიან.

ფორტ დე ფსანსი. ვოლკანის ხელახალმა მოქმედებამ მეტად შეაშინა ხალხი. გარბიან ათასობით. ვულკანის გადმონადენისაგან ზღვა ადგილ—ადგილ დუღდა. კარბეში ქვის წვიმა იყო.

კურსელი. სამეურნეო კომისიის ბიუროს მიღების დროს იმპერატორმა წარმოსთქვა სიტყვა. ბიუროს თავმჯდომარემ შლუმბერგმა მადლობა მოახსენა იმპერატორს დიკტატურის მუხლის გაუქმების გამო.

პეტერბურგი. კავკასიის მთავარ-მართებლის კანცელარიის ვიცე-დირექტორი პოლკოვნიკი ტროფიმოვი დაინიშნა ამავე კანცელარიის დირექტორის თანამდებობის აღმასრულებლად.

8 მაისს საღამოს რესტორან „მედვედში“ რუსეთის პრესის წარმომადგენლებმა რაუტი გაუმართეს ფრანგ ჟურნალისტებს. მოწვეულნი იყვნენ 400-მდე, წარმოსთქვეს რამდენიმე სადღეგრძელო. ილაპარაკეს: სუვორინმა, მულენმა, კალმეტმა, ლერუმ, ხუდეკოვმა, ველიჩკომ და სხვ.

პრეზიდენტი მშვიდობით წავიდა. ბელტში შესვლისას საფრანგეთის დივიზიის შესახვედრად გამოვიდა დანიის კრეისერი „აბზალონი“ და 21 ზარბაზანი დაცალა. გიშენმა პასუხი გასცა. დანიის ორკესტრი მარსელიეზას უკრავდა და მონკალმისა დანიის ჰიმნს. პრეზიდენტი დანიისკენ გაემგზავრა დიდი სიჩქარით, რომ კვირა დილას კოპენჰაგენს რეიდზე მივიდეს. დილის 11 საათზე ნაპირზე გადავა, სადარბაზოდ წავა მეფესთან და სამ-საათზე „მონკალმით“ გაემგზავრება. დიუნკერკში სამშაბათს მივა.

გამომც. და დრ. რედაქტორი **ალ. ჯაბადარი.**

გამოსადეგი ცნობანი

მიმოსვლა რკინის გზის მატარებლებისა

(ფრჩხილებს გარედ ნაჩვენებია პეტერბურგის საათი, ფრჩხილებში კი—ტფილისისა)

ა) ტფილისიდან მიდის:

ბათუმს—1) № 1 სწრაფი—დილის 6 ს. და 45 წ. (7 ს. 43 წ.); 2) № 3 საფოსტო—ნაშუადღევის 5 ს. 9 წ. (6 ს. 7 წ.); 3) № 5 სამგზავრო—დილის 8 ს. 29 წ. (9 ს. 27 წ.).

ბაქოს—1) № 2 სწრაფი (მხოლოდ პარასკევობით)—დილის 10 ს. 51 წ. (11 ს. 49 წ.) 2) № 4 საფოსტო—დილის 12 ს. 36 წ. (ს ს. 34 წ.); 3) № 6 სამგზავრო—საღამოს 7 1 24 წ. (8 ს. 22 წ.).

ბორჯომს—№ 7—დღის 1 ს. 30 წ. (2 ს. 28 წ.).

ყარსს—№ 74/75 საღამ. 8 ს. 30 წ. (9 ს. 28 წ.).

ტფილისში მოდის:

ბათუმიდან—1) № 2 სწრაფი—დილის 9 ს. 4 წ. (10 ს. 2 წ.); 2) № 4 საფოსტო—დილის 11 ს. 34 წ. (12 ს. 32 წ.); 3) № 6 სამგზავრო—საღ. 6 ს. 39 წ. (7 ს. 37 წ.).

ბაქოდან—№ 1 სწრაფი (შაბათობით)—დღის 2 ს. 45 წ (3 ს. 43 წ.); № 3 საფოსტო—დღის 3 ს. 56 წ. (4 ს. 54 წ.); № 5 სამგზავრო—დილის 7 ს. 39 წ. (8 ს. 37 წ.).

ბორჯომიდან—№ 8—საღ. 5 ს. 59 წ. (6 ს. 57 წ.).

ყარსიდან—№ 76/77 დილის 6 ს. 20 წ. 7 ს. 18 წ.).

ბ) ბათუმიდან გამოდის:

ტფილისისაკენ—1) № 2 სწრაფი—ღამის 10 ს. 10 წ. (11 ს. 8 წ.); 2) № 4 საფოსტო—საღამ. 11 ს. 5 წ. (12 ს. 3 წ.); № 6 სამგზავრო—დილის 7 ს. 5 წ. (8 ს. 3 წ.).

გ) ქუთაისიდან გამოდის:

ტფილისისაკენ—1) ღამის 12 ს. 30 წ. (1 ს. 28 წ.); 2) ღამის 2 ს. 50 წ. (3 ს 48 წ.).

ბათუმისაკენ—1) დღის 12 ს. 55 წ. (1 ს. 53 წ.) 2) ღამის 12 ს. 30 წ. (1 ს. 28 წ). 3) დღის 3 ს. 40 წ. (4 ს. 38 წ.).

შორაპნისაკენ—დღის 2 ს. (2 ს. 58 წ.).

განცხადებანი

«წიგ. გამომც. ქართველთა ამხანაგობის»

კიოსკში,

ლორის-მელიქოვის ქუჩა, ალექსანდროვის ბაღის კუთხეში, იყიდება ამხ. გამოცემული წიგნები:

	მ.	კ.
დაბადება და აღზრდა ერეკლე ბატონიშვილისა—პოემა ბაჩანასი.	—	10
იოსებ დავითაშვილის ლექსები	—	50
დ. ყაზბეგის I, II და III ტომი თითო	1	—
იგივე IV ტომი კარგ ქაღალდზე	1	50
ი. ჭავჭავაძის I ტომი	—	70
იგივე II და III ტომი თითო	—	60
იგივე IV ტ. ორ წიგნათ.	—	80
სოფლის კუნწულა—დ. მაჩხაანელისა	—	10
სიბრძნე-სიცრუვე—საბა სულხან ორბელიანისა.	—	40
აკაკი წერეთლის I და II ტომი თითო	—	60
რაფ. ერისთავის I ტომი	—	60
საქართველოს წარსული დრო—პოტტოსი	—	30
სამზარეულო—ქართული და ევროპიული საჭმელებისა.	1	20
აივენგო, რომანი—ვალტერ სკოტისა	—	50
სიბრძნე ბალავარისა	—	30
აღა-მამად-ხანის შემოსვლა ტფილისში	—	15
ღვინის დაყენება პროფესს. გ. პეტრიაშვილისა	1	50
რძე, მისივე	1	50
ცეცხლითა და მახვილითა, რომანი—გენრიკ სენკევიჩისა	—	80
დასტურ-ლამა	—	20
ტარტიუფი, კომედია 5 მოქ. მოლიერისა	—	50
სურათები საქართველოს მეფეთა, დედოფალთა და ბატონიშვილთა.	—	20

პროვინციელთ შეუძლიანთ წიგნები ფას დადებით გაიწერონ, ხოლო გაწერილ წიგნების ფასის ერთი მესამედი პირველად უნდა წარმოადგინონ. მანეთზე ნაკლები ფული შეუძლიანთ ფოსტის მარკებით გამოგზავნონ. ფოსტის ადრესი: Тифлисъ Грузинское Издательское Товарищество.

---

*) იხ. „ცნ. ფურც.“ № 1803.

Дозволено цензурою Тифлисъ, 9 Мая 1902 года. ელექტრონით მბეჭდავი სტამბა წიგნების გამომც. ქართვ. ამხანაგობის.